სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

64502343956021

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N21165591

რეგისტრაციის თარიღი

19.10.2021 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის ცხრამეტ ოქტომბერს მე, ნოტარიუსს ნანი სიდამონიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. #27-ში, მომმართა კახი კენჭოშვილმა შპს " ოპტიმა"ს /ს/კ 404583036 / ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო რეესტრიდან , მომზადების თარიღი 19/02/2021წ, იურიდიული მისამართი : ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი ბესიკის ქ # 4, ბ 27) დირექტორმა , მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად კახი კენჭოშვილმა (დაბ. 27.06.1971წ, პ # 01019004676, მისამართი : საქართველო, ქალაქი თბილისი, ეკატერინე ჭავჭავაძის ქუჩა, N 2) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამჩენია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ:

1. მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.

მან წაიკითხა სანოტარო აქტი, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაერთი წლის ცხრამეტ ოქტომბერს მე, კახი კენჭოშვილი შპს " ოპტიმა"ს /ს/კ 404583036"ს დირექტორი ამ მინდობილობით სრულ უფლებას ვაძლევ ვახტანგ ტოგონიძეს (პ # 18001003129) საზოგადოების კუთვნილ უძრავ ქონებასთან მდებარე: ქ. თბილისი, ასი ათასი მოწამის ქუჩა 13 (ს/კ # 01.72.14.014.962) დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის საჯარო რეესტში, ქ. თბილისის მერიის სამსახურებში (არქიტექტურის სამსახურში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში და ზედამხედველობის სამსახურში), გამგეობაში, საკრებულოში, სამართალდამცავ ორგანოებში,საქ. ნოტარიუსთა პალატაში, არქივებში, შემოსავლების სამსახურში, მიიღოს და წარადგინოს დოკუმენტები, ნებართვები, შეათანხმოს პროექტები, დააზუსტოს ფართობი, შეიტანოს ცვლილებები, კორექტირებები პროექტში. აწარმოოს სამშენებლო სარემონტო , სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ფართების დაზუსტება, ლეგალიზაცია, დაკანონება, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, აწარმოოს შესაბამისი საქმე, შეასრულოს ელექტრონულად ხელისმოწერა ნებისმიერ განაცხადზე, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის პროცედურა, რაც დაკავშირებულია აღნიშნული მოქმედებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით და ძალაშია 19/04/2022 წლის ჩათვლით.

მინდობილობას ვადასტურებ მე, ნოტარიუსი ნანი სიდამონიძე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცემა მინდობილობის გამცემს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 ლარი, აგრეთვე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე დღგ 1 ლარი და 80 თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა. სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

ნოტარიუსი